სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.124.000.553

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2010 წლის 20 აგვისტო

ქ. ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

1.დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება (დანართი №1 თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 4 ივლისის №45 დადგენილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და კურორტების ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს რ. გეწაძეს.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. რობაქიძე

დანართი №1

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში სამსახური) არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე შექმნილი გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში ადგილობრივ თვითმმართველობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს კანონებისა და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე საკრებულოსა და გამგეობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის კომპეტენცია და სამსახურის საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

მუხლი 2. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

1. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფი განათლების, კულტურისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციების პროგრამების მომზადებას. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების მართვას შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

2. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებაზე მყოფი განათლების, კულტურისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია.

ბ) წინადადებებისა და კონცეფციების შემუშავება დაქვემდებარებულ კულტურის, სპორტის, საგანმანათლებლო, სკოლის გარეშე და სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

გ) კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების, ხალხური შემოქმედების, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ და ხელოვნების სხვა დარგების განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა დაგეგმვა.

დ) კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებების მომზადება.

ე) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება და მისი განხორციელების კოორდინაცია.

ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, განათლებისა და სპორტის ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია. კონტროლი ამ ობიექტებში სანიტარიული ნორმების დაცვით, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და საკომუნიკაციო სისტემების მუშაობაზე.

ზ) ახალი სასწავლო წლისათვის და ზამთრის სეზონისათვის შესაბამის სამუშაოთა მომზადების ორგანიზება და კოორდინაცია.

თ) სკოლების, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და კულტურის დაწესებულებების შენობების ექსპლუატაციისათვის სარეზერვო, სათადარიგო მასალების მოცულობის განსაზღვრა და მარაგების შექმნა. მიმდინარე და სეზონური პროფილაქტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მათი განხორციელება. ამ დაწესებულებების საჭირო ინვენტარით აღწურვის ორგანიზება, მათი მოვლის, აღრიცხვისა და დაცვის უზრუნველყოფა.

ი) სკოლამდელ ბავშვთა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია და უზრუნველყოფა, მათში მედპუნქტების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.

კ) სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება, მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კოორდინაცია.

ლ) სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვა და პოპულარიზაცია, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის

უკვდავყოფა, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა.

მ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას და გამგეობისა და საკრებულოსათვის მათ წარდგენას, ასევე სწავლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების მდგომარეობასა და მათ ისტორიას, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ხელისუფლების ორგანოებთან, არქივებთან, მუზეუმებთან და ა.შ.

4. სამსახური შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კურორტებისა და ტურისტული მარშრუტების განვითარებისათვის საჭირო წინადადებებსა და პროექტებს, წარუდგენს მათ გამგებელსა და საკრებულოს განსახილველად. თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში ახდენს მონიტორინგს აღნიშნული მიმართულებით. თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ინსტანციებთან და სამსახურებთან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სამსახური ახალგაზრდულ საკითხებში ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა, ახალგაზრდობის და ახალგაზრდა ოჯახების სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით, შეიმუშავებს ახალგაზრდულ პროექტებს, ხელმძღვანელობს და მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ახალგაზრდულ-პატრიოტულ მოძრაობას მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მუხლი 3. სამსახურის უფლება-მოვალეობები

1. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებების და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს მისთვის გადაცემული ქონების შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე;

ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, უზრუნველყოს ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება;

გ) ანგარიში წარუდგინოს გამგებელს თავისი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 4. სამსახურის უფროსი

სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურა

სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და დარგის სპეციალისტებისაგან.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონით დადგენილი წესით.